№ 192

შაბათი, 10 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 192

შაბათი, 10 სექტემბერი 1894

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ— 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**ნიკოლოზ** და **კონსტანტინე ჯიჯიხიები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავისის ძმის **ივანე ალექსის ძის ჯიჯიხიას** გარდაცვალებას. დასაფლავება განსვენებულისა დანიშნულია კვირას, 11 სექტემბერს, ახალ-სენაკს.

(1—6—1)

**„ივერია“**

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით.

**ტფილისი,**

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას“, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

იოსელიანის ახალი წიგნი იხილე მე-4 გვერდი.

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

რთულ და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს იწვევს ექიმს ი. ელიაშვილს. (4—6—2)

## საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრის დაფუძნების საჭიროება ტფილისში.

ხშირად შევხვდებით ხოლმე ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ისტორიულს წერილებსა, რომელნიც დაწვრილებით აღგვიწერენ ჩვენის ქვეყნის ძველს ნაშთებსა. ყველა ეს, რასაკვირველია, კარგია, მაგრამ ერთი ნაკლი სჭირს ამ გვარად კანტი-კუნტად მუშაობასა: ეს ისა, რომ ამ გვარ შრომას აკლია ერთი სული, ერთი ხელი, ერთი მიმართულება, აკლია ერთიანობა, ერთსახეობა, შეუყენებლობა და სხვა ამ გვარი. მაგრამ უმთავრესი ნაკლი ყველა ამ გვარ აღწერათა ის არის, რომ ისინი, უმეტეს შემთხვევაში, აღწერენ ერთს რომელსამე ნაშთს, დღეს, ვსთქვათ, თელავის მაზრიდამ, ხვალ რაჭიდამ, მას მერე ათხაზეთიდამ და ასე ამ გვარად, და იბეჭდება ყველა ეს ერთს რომელსამე გამოცემაში ხომ არა, სულ სხვა და სხვაში, რის გამოც მეტად ძნელდება მათი შესაფერი გამოყენება მეცნიერებისთვის. ამით ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ დროც არის და საჭიროც, რათა მთელი ჩვენი ქვეყანა მაზრა-მაზრა აიწეროს და ყველა ეს, შემუშავებული და გამოცემულ იყოს ერთი წრის ზედამხედველობის ქვეშ, რომ მით ყველას ადვილად შეეძლოს მათი მოხმარება-გამოყენება. ეს ამბავი გაგვახსენა იმ გარემოებამ, რომ ამას წინად ალავერდში და შუამთაში (კახეთშია ორივე) ვიყავით და, რასაკვირველია, გვსურდა მათზე ვისიმე შრომა-გამოკვლევა წაგვეკითხა, რომ უფრო მომეტებულად დამტკბარვიყავით წინაპართა ნახელოვნებით და ღვაწლით, მაგრამ სად არის იგი, ღმერთმა უწყის! ეჭვი-კი არ არის, რომ ამისთანა დიდებულს ნაშთებზე ვინმე დასწერდა რასმე, მაგრამ აკი მოგახსენებთ, ისე დაფანტული გვაქვს ყველა აღწერილობანი ჩვენთ ნაშთთა შესახებ, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი სასურველად გამოყენება-მოხმარება.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს, ტფილისში, ჩვენ ქართველებს გვყავს უკვე იმდენი მცოდნე კაცი, რომ მათ ადვილად შეუძლიათ შეადგინონ საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის წრე, რომელიც იკისრებდა ყველა ნათქვამის შესრულებასა და განხორციელებასა. ეს წრე, სხვათა შორის, მოახერხებდა შეეძინა რამოდენიმე ცალი ფოტოგრაფიის მოწყობილობისა, რომლითაც ნაშთების და წარწერების გადაღების შესწავლა მინაზედ სულ რამოდენიმე საათის საქმეა, ხოლო რაც შეეხება მინაზე სურათის განცხადებას და ქაღალდზედ გადახატვას, ყველასვერს ამას წრე შეასრულებინებდა ვისმე ხელოვან ფოტოგრაფსა. ეს საშუალება ნებას მოგვცემდა სულ ათიოდე წელში მთელი საქართველო აგვეწერა და დაგვესურათებინა, რომლის ნაშთები, როგორც ვუწყით, რაც დრო მიდის, სულ უფრო და უფრო ძველდება, ინგრევა და ზოგი მათგანი მიწასთანაც სწორდება მტრის ხელით. სულ სხვა იქნება, როცა ნაშთს ქაღალდზედ გადავიღებთ: ათასი წლებიც გავა და ის, მაინც, არ დაიკარგება და შთამომავლობას უწყებული სახე, მაინც, დარჩება წინაპართა ხელოვნება-მოქმედებისა.

ი. როსტომაშვილი

# დეპეშა

8 სექტემბერი

**პეტერბურგი.** კორეს ყურეში დიდი ბრძოლა მოხდა. ჩინელების გემებიდგან ჯარი უნდა გადმოესხათ. იმ ალაგას, სადაც მდინარე იაჰუ ზღვას უერთდება, ჩინელების გემებს წამოეწია იაპონელთა ესკადრა, მაგრამ მაინც ვერ დაუშალა ჩინელებს, ჯარი გადმოესხათ. იაპონელთა სამხედრო გემები თავს დაეცნენ ჩინელების გემებს; ჩინელების კრეისერი „ბენ-კუენი“ დაიღუპა, და ორი მათივე კრეისერი „Chao Yung“ და „Yang Wai“ მეტად დაზარალდნენ; იაპონელთა ოთხი გემი დაიღუპა; ამბობენ, რომ აგრეთვე დაიღუპა ჩინელების გემი, «King Yuen». უკანასკნელ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ჩინელებს გაუმარჯვნიათ; იაპონელებმა უკან დაიწიეს და დიდადაც დაზარალდნენ; ჩინელების ესკადრა ვეი-ჰაი-ვეის დაბრუნდა. ჩინელების ადმირალი ტინგი და მაიორი გონეკერი დაჭრილნი არიან.

9 სექტემბერი

**ლონდონი.** იაპონელთა ლაშქარი მიდის ვისტრიისაკენ, რომელიც მდებარეობს მანჯურის სატახტო ქალაქის მუკდენის მხრივ. ჰფიქრობენ, რომ იაპონელთა ლაშქარი მიაღწევს ამ თვის გასულს.

# ახალი ამბავი

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ყარსში რკინის გზის გაყვანა უკვე გადაწყვეტილია და მალე შეუდგებიან მუშაობას.

*** კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი ს. ა. შერემეტევი კავკავის გზით დღეს, 10 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, კისლოვოდსკიდგან ტფილისში ჩამოვა.

*** ბუხარის ემირი მირ-სეიდ-აბდულ-ახად-ხანი ხუთშაბათს კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწესთან, გრაფ ი. დ. ტატიშჩევთან იყო ვიზიტით, შემდეგ ტფილისის გუბერნატორ კამერჰერ თავ. გ. დ. შერვაშიძესთან, რომელთაც ემირს იმავე დღეს გადაუხადეს ვიზიტი. საღამოზედ ემირი ქალაქში სეირნობდა ეტლით. იყო მუშტაიდში, სადაც დაათვალიერა აბრეშუმის სადგური და სხვ. გუშინ ემირი მარტო ეტლით სეირნობდა კავკასიის მთავარ-მართებლის ამალით.

*** ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების დირექტორმა ბ-ნმა დარსკიმ შეატყობინა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ნებართვა ეძლევა დააარსოს წრეულს ტფილისში სამი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ამ სასწავლებლებში ეროვნების გაურჩევლად მიიღონ ბავშვებიო. ქალაქის გამგეობამ ეს შეატყობინა სამოსწავლო კომისიას, რომელიც ამ დღეებში განიხილავს ამ საქმეს.

*** სამშაბათს, 6 სექტემბერს გაათავეს სიღნაღის მაზრაში გუთნების გასინჯვა. გასასინჯად გამოგზავნილი იყო 27 სხვა-და-სხვა გუთანი, გუთნის გასინჯვას 600-ზედ მეტი გლეხკაცი დაესწრო სხვა-და-სხვა სოფლისა. გლეხ-კაცნი თავისის თვალით დარწმუნდნენ ევროპიულ გუთნების უკეთესობაში. ამ გუთნებით თითონ გლეხ-კაცები ხნავდნენ. გარდა გლეხკაცებისა დაესწრნენ ზოგიერთი მემამულენი, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრნი და მოხელენი. აქვე, გუთნების გასინჯვის შემდეგ, 50 მდე გუთანი ითხოვეს სასყიდლად. ყველაზედ

# ფელეტონი

### კიდევ ინსინუაცია.

(ვუძღვნი ბ. გ. წერეთელსა)

«კვალის» უკანასკნელს ნომერში ბ-ნი გიორგი წერეთელი თავისს მეთაურს წერილში სხვათა შორის სწერს შემდეგსა: «სამოსწავლო გამგეობის წევრი არა ვარ, ჩემი სახელმძღვანელოებით დიდი პენსია გავიჩინო წელიწადში და ვინმე ჩემი მაქებართაგანი მასწავლებლად სადმე გავამწესებიო».

ეს ინსინუაცია რომ მხოლოდ ჩემსკენ იყოს გამორტყოცნილი, კრინტსაც აღარ დავძრავდი. საზოგადოებამ კარგად, ძლიერ კარგად შეიგნო, რომ ინსინუაციების თხზვა და ბეჭდვა ჩემს შესახებ ბ-ნს გიორგი წერეთელს სწორედ ორგანიულ სენად გარდაექცა და არამც თუ საიქიოს ვეღარ გაიკურნება, საიქიოსაც თან წაიღებს. მაგრამ აქ ჩრდილი ადგება თვით გამგეობას წერა-კითხვის საზოგადოებისას და ერთს სახალხო სკოლის ჩინებულს მასწავლებელს და ამიტომ იძულებული ვარ რავდენიმე სიტყვით ვამხილო ინსინუატორი.

წინედ ყველა ჩემს სახელმძღვანელოებს ბეჭდავდნენ წიგნის მაღაზიის პატრონები ვართანოვი და გრიქუროვი. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთიც და მეორეც ძლიერ სვინიდისიანად და თავაზიანად მექცეოდნენ. ბეჭდავდნენ ყველა ჩემს წიგნებს იმდენს, რამდენიც მე მინდოდა, ბეჭდავდნენ ევროპიულს წესზედ: ორს ნაწილს მოგებას მე მაძლევდნენ და მესამედს თვითონ ისაკუთრებდნენ. ამ ხუთის წლის წინედ წერა-კითხვის საზოგადოებას სახსარი ძლიერ შეუმცირდა და ახალს წყაროებს დავუწყეთ ძებნა. მაშინ თავმჯდომარის ამხანაგად იყო თ. გ. ი. მაჩაბელი. ერთხელ იმან მკითხა: ხომ თანახმა იქმნები, რომ „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ იმავე პირობით გამოსცეს «წერა-კითხვის საზოგადოებამ, რა პირობითაც ბეჭდავს გრიქუროვიო? რატომ, დიდი სიამოვნებით მეთქი. პირველსავე სხდომაზედ გამგეობას ამ აზრის წინადადება მისცა და გაუმარტა წევრებსა, რომ ორივე წიგნი ჩვენ წელიწადში ასს თუმანს შემოსავალს მოგვცემს და ეს კი ღვთისწყალობა იქმნება ჩვენი ქესატი კასისათვისაო. გამგეობამ მიიღო ეს წინადადება და მოახსენა საზოგადო კრებას. საზოგადო კრებამ მოიწონა, სასარგებლოდ სცნა და ნება მისცა გამგეობას თავისი მოგებიანი ბილეთები დაეგირავებინა ამ საქმისათვის, თუ მიმდინარე ანგარიშის ფული არ ეყოფოდა. მე მსურდა დაგირავება ბილეთებისა და სარგებლის ძლევა ამეცილებინა თავიდგან გამგეობისათვის და ამიტომ განვუცხადე: აქამდის „დედა-ენა“-ს ჰბეჭდავდნენ გამომცემელნი ოციათასზედ მეტსა და „ბუნების კარს“ ექვსს ათასსა. მე თანახმა ვარ, საქმის გასაადვილებლად და ხარჯის შესამცირებლად, ნაკლები იბეჭდებოდეს. ამის შემდეგ „დედა-ენა“ იბეჭდება თორმეტი ათასი და „ბუნების კარი“ ოთხი ათასი. ამის გარდა წიგნების გამოსაცემ ფულსა და ჰონორარსა ნაწილ-ნაწილად ვახდევინებდი და ვახდევინებ. ამ ორმა გარემოებამ ისე გაუადვილა საქმე გამგეობას, რომ არც ეთხელ არ დასჭირებია ბილეთების დაგირავება; მიმდინარე ანგარიშის ფულით იოლად გამოსულა ყოველთვის. რაც შეეხება გამგეობის მოგებასა ჩემი წიგნებიდგან, იგი წელიწადში ას-ოც თუმანზედ მეტს იღებს. ხომ კარგი მოგება გახლავთ, მეტადრე იმისთანა ხელ-მოკლე დაწესებულებისათვის, როგორიც არის წერა-კითხვის საზოგადოება. აი ამ მოგებისათვის იკისრა გამგეობამ ჩემი წიგნების გამოცემა და არა იმის გამო, რომ ჩემთვის, როგორც თავისი წევრისათვის, მიეკერძნა. მაგრამ ეს კიდევ სრული ჭეშმარიტება არ გახლავთ. არამც თუ არ მომკერძა, კაი ზარალიც მომაყენა გამგეობამ ჩემივე თანახმობით, რასაკვირველია, წინად, ვიდრე „დედა-ენა“ იბეჭდებოდა ოციათასზედ მეტი და „ბუნების კარი“ ექვსი ათასი, ერთი წიგნიც და მეორეც ბევრად უფრო იაფად ჯდებოდა და ჩემი ჰონორარი მეტი იყო. ახლა-კი მეტად გვილირს ორივე წიგნი და ამის შედეგი ის გახლავთ, რომ ჩემს ჰონორარს თუნდა ორმოცი თუმანი აკლდება წელიწადში. მაშასადამე აქ საზოგადო სიკეთე დიდს მოგებაშია და მე-კი ზორბა ზარალში გახლავართ. განა ამისთანა სწორესა და ნათელს საქმეს სამართლიანი ადამიანი ჩრდილს მიაყენებს?

დიდს პენსიას იღებსო, ჰპრძანებს ჩემზედ ბ-ნი გ. წერეთელი. ამ ვაება-

კარგი გამოდგა ეკარტის სისტემის გუთანი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლის უფროსის ბ-ნ ზლოტნიცკის თანამდებობას ასრულებს მისი თანაშემწე ინჟენერი ჟუკოვსკი, ხოლო ჟუკოვსკის თანამდებობას—რევიზორი ბ. აბრაზცოვი.

*** გარდასახადთა ინსპექტორი ბ-ნი ყორღანოვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ეხლავე შეატყობინეთ, რამდენი მამული დარჩა განსვენებულს ი. ა. ჩიჯახოვსაო. ეს ცნობა საჭიროა, რათა განსაზღვროს, რამდენი უნდა გარდახდეთ სახელმწიფოს სასარგებლოდ იმის მემკვიდრეებს ნაწილი სამკვიდროს მიღებისაო.

*** ქალაქის კასსაში პირველ იანვრიდგან პირველ სექტემბრამდე დასაფასებელი ფული შემოსულა სულ 215,934 მან. და 13 კაპ., ქალაქის მილის წყლის გაყიდვისა—123,484 მან. და 24 კაპ., სავაჭრო მოწმობის მიცემის გადასახადი—55,294 მან. და 36 კაპ., ყავახანებისა—28,471 მან. და 16 კაპ., საქონლის დახოცვისა ქალაქის საყასბოდგან—27,670 მან. და 55 კაპ., ცხენების გადასახადი—22,600 მან. აგვისტოს თვის განმავლობაში ქალაქს სულ 63358 მან. და 87 კაპ. შემოსავალი ჰქონია, მხოლოდ 8 თვის განმავლობაში პირველ სექტემბრამდე ქალაქის კასსაში შემოსულა სულ 711,741 მან. და 86 კაპ. ამავე დროს ქალაქს აგვისტოში დაუხარჯავს 66,619 მან. და 70 კაპ., ხოლო 8 თვის განმავლობაში ახალ წლიდგან—617,384 მან. და 11 კაპ.

*** ჩვენ მივიღეთ 12 მან. და 1 აბაზი ტფილისის ცხენის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის შეკრებილი ლეონტი ოთარის ძის მამალაძის მიერ განსვენებულის იოსებ დავითაშვილის ფონდის სასარგებლოდ.

*** უმართებულესმა სენატმა დიდი ხანია გარდაწყვიტა, რომ ვექილად ანუ რწმუნებულად არ შეუძლია იყოს, ვინც რუსული ენა არ იცისო. ეხლა სენატმა განმარტა, რომ ეს გარდაწყვეტილება არ შეეხება მოჩივართა მშობლებს, მეუღლეთ, შვილებს და იმ პირთ, რომელთაც საერთო დავა აქვთ, ანუ რომელნიც რწმუნებულის ქაღალდით განაგებენ მოჩივარის საქმეებს ან მამულებსაო. რადგანაც ყველა ამათი საქმე დაკავშირებულია თითონ იმის საქმესთან, რომლის წარმომადგენელნიც არიან და ამიტომ იმათაც იგივე უფლება უნდა ჰქონდეთ მინიჭებული, როგორიც საზოგადოთა აქვს ყველა მოჩივარს.

*** ხუთს სექტემბერს დაიწყო სწავლა ტფილისის მიხეილის საფერშლო სასწავლებელში. შესვლის მსურველთა რიცხვი იყო სულ 30, მიიღეს 21, მათ შორის რვა გურულია, ორი ქართლელი და ერთიც იმერელი. დანარჩენთა შორის 6 რუსია, 3 სომეხი და 1 მაჰმადიანი. პირველ კლასში მიღებულ იქმნენ 15, მეორეში—4, მესამეში—2.

*** ს. ავლევი (ქართლი) აგერ ეს ორი წელიწადია, რაც კ. ამირეჯიბის უფასო აფთიაქი არსებობს ს. ავლევში. აფთიაქი მხოლოდ ზაფხულობით ე. ი. სამს თვეს ივნისს, ივლისს და აგვისტოს იყო ხოლმე ღია, რადგანაც პატრონი ამ აფთიაქისა ჯერ ისევ სასწავლებელში იყო და მხოლოდ წრეულ დაასრულა ოდესის უნივერსიტეტი. ყველას, ვისაც-კი ავადმყოფი მოჰყავს და უჩვენებს, ან ზეპირ ეტყვის მის სატკივარს, უფასოდ აძლევს წამალს. ამ უფასოდ წამლის ძლევამ მთელი ზემო-ქართლის ხალხი აქ მოიყვანა. ვისაც არა მგონია, მდიდარსა თუ ღარიბს, აუღია ფეხი და წამლისთვის მოეშურება ს. ავლევში. მეაფთიაქეც გულუხვად უხვდება და ხელ-ცარიელს არავის ისტუმრებს. მაგრამ წრეულს ძალიან იმატა ხალხმა, შარშანდელზედ ერთი სამად მეტი მოაწყდა. სოფელ ავლევში უფასო აფთიაქის არსებობის ამბავმა ზემო-ქართლის ყოველ კუთხეში მიაღწია, ყოველ დღე 40—80 კაცი მოდიოდა, კვირა უქმე დღით ხომ თვლა აღარ იყო და არა. ამდენს ხალხს როგორ უნდა ასვლოდა ერთი ადამიანი. ამის გამო შემდეგ ამ ნაირად მოაწყო კ. ამირეჯიბმა საქმე: ერთს დღეს იღებდა ხოლმე ხალხს და ჰსინჯავდა, ხოლო მეორე მესამე დღეს-კი წამალს აძლევდა რიგ-რიგად.

*** ს. ქვემო-მაჩხაანი: რამდენისამე კაცის რჩევა-დარიგებით ამ ერთის წლის წინად სოფელმა განაჩენი დაადგინა სამიკიტნოების მოსპობის შესახებ. იმ განაჩენის ძალით დღესაც გაყინულ წისქვილივით კრიჭაშეკრული სდგას რვა სამიკიტნო, რომელნიც ორას-სამას თუმანს ზარალს აძლევდნენ სოფელს წლისწლობამდის. ერთს ნამიკიტნარს ამ დღეებში მიეტანა სიღნაღის მაზრის სამმართველოში ქვემო-მაჩხაანის საზოგადოებისაგან ხელ-მოწერილი განაჩენი სამიკიტნოს დაარსებისა და შემოწმებას ითხოვდა. ბ-ნმა მაზრის უფროსმა არ შეუმოწმა და ბოქაულს გ. პაიჭაძეს მიანდო გამოეძიებინა: ნამდვილი იყო იგი განაჩენი თუ არა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ განაჩენი ყალბად იყო შემდგარი, და როცა მამასახლისმა დაინახა საქმე უჭირდა, უცბად დაფხრიწა თავისაგან დაბეჭდილი განაჩენი, რადგანაც იქ ისეთი უწიგნო კაცები ეწერნენ, რომელთაც სიზმრათაც არ მოჰლანდებიათ განაჩენზედ ხელის მოწერა. აი რას სჩადიან ჩვენი გაუნათლებელი მამასახლისები, იქაც კი, სადაც რამდენიმე კაცი დღე და ღამ კრიჭაში უდგა სოფლის ჭამიებს. ამავე მამასახლისზედ დიდი უკმაყოფილოა სოფელი და რამდენიმე ამორჩეული კაცი მიუჩინა საანგარიშოდ. როგორც წყაროებიდგან სჩანს, მამასახლისს და იმის დოყლაპია დამქაშებს კარგა ფულები მიურთმევიათ სოფლისა და ბევრი ბოროტ-მოქმედებმაც ჩაუდენიათ, თუმცა ისე ამაყად აბრიალებენ თვალებს და ისე ყვინტ-ყვინტით ემუქრებიან ამორჩეულ-მოანგარიშებს, თითქოს ცა და ქვეყნის მეფეთა მეფენი გამხდარანო. იმედი გვაქვს ჩვენი მაზრის უმფროსი უფრო იქით მიაქცევს დიდს ყურადღებას თავისს სამწყემსოს, სადაც მგლები მწყემსობენ და ღორები მებოსტნობენ.

*** კავკასიის მთავარ მართებელმა დაავალა თავის საბჭოს წევრს ტ. ს. კ. ვ. იაკიმოვს, განიხილოს საქმის წარმოება კავკასიის გუბერნიების მომრიგებელ შუამავალთა, ისე რომ დაახლოებით განმარტულ იქმნას გლეხთა მდგომარეობა ამ გუბერნიებში, მეტადრე სასოფლო საზოგადოების სამმართველოები. ეს ცნობანი საჭიროა, როგორც „კავკაზ“-ი გვაუწყებს, შემდეგის საქმის წარმოებისთვის სასოფლო საზოგადოების სამმართველოების წესების შესაცვლელად. (ტფ. ლისტ.)

*** 8 ამ თვისას პანსევიჩის ქუჩაზე მცხოვრებელმა პოდ-პოლკოვნიკმა შარიფ-ბეგ გაითაბაშმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სახლის აივნიდგან 30 მან. ღირებული ხალიჩა მომპარესო.

*** 9 აგვისტოს პოლიციის მეშვიდე ნაწილში ღამ-ს 1 საათზე, პოლიციელმა კულაკოვმა შენიშნა ვიღაც ორი კაცი, რომელთაც ბოხჩა მიჰქონდათ. პოლიციელი გამოუდგა უკან. იმათაც შენიშნეს რა პოლიციელი ჩვენ მოგვდევსო, ბოხჩა გადააგდეს და სადღაც მიიმალნენ. ბოხჩაში აღმოჩნდა 39 ჩითის ახალუხი. ახალუხები პოლიციაში ინახება.

## დამაკვირდი

—

ადამიანთა შორის ბევრი თავისის სიცოცხლის პირველ ნახევარს იმას ანდომებს, რომ ჩაიშხამოს და მოიწამლოს სიცოცხლის მეორე ნახევარი.

ლაბრუიერი

**

სიჭაბუკე უღვინოთაც მთვრალია.

სპარს.

**

ჭკვიანი სამეფო გვირგვინია, რომლის მოპოვება მხოლოდ ზომიერებისა, პატიოსნებისა და სიბრძნის გზაზედ შეიძლება.

ჰერდერი

## კორესპონდენცია

—

**ს. ნიგოითი.** (გურია) სექტემბრის პირველს, როგორც საზოგადოდ წესია, აქაც დაიწყო სწავლა ახალ ქვის შენობის სასწავლებელში. სწავლის მსურველთა რიცხვი შესამჩნევად მრავალი იყო, და მიღებულ იქმნენ კიდეც, თითო-ოროლას გარდა. მასწავლებელი ამ სკოლისა იგივეა, რომელიც წინად საერთო სკოლაში ასწავლიდა.

ნიგოითს დღემდე თუმცა ძალზე გაფუჭებული გზები ჰქონდა, მაგრამ კეთდება თუ ყველა არა, რამდენიმე მაინც, ახალის მაზრის და აგრედვე ახალისავე ნიგოითის მამასახლისის მეთაურობით, რომელსაც, ამ უკანასკნელს, საზოგადოება ცოტა არ იყოს არ ემადლიერება, რადგან შუა გულ მუშაობის დროს დაგვატანა ძალა გზისთვის გვემუშავნა, თუმცა შესაძლებელი იყო გადადებულიყოო... მაგრამ მამასახლისს ამ გვარის ყვედრებისათვის ყურადღებაც არ მიუქცევია და კიდეც შეუდგა გზების კეთებას. არ შეგვიძლიან არ გავახსენოთ სოფლის მამასახლისს, რომ დიდი და ფას-დაუდებელი მადლი იქნება აკეთის ან ჰანჭათის გზის გაკეთება, რითაც ორი მახლობელი მეზობელი უგზოობის გამო დაშორებულნი შეუერთდებიან ერთმანეთს ჭირსა და ლხინში და აგრედვე წიგნთ-საცავიც ადვილი მისასვლელი იქნება. ან რა უნდა იყოს ისეთი სამძიმო ამ გზის გაკეთება, როდესაც ნახევარი კიდეც გაკეთებულია წარსულ წელს?.. იმედია ამ გარემოებას ბ-ნი ალიმბაიც მიაქცევს ყურადღებას.

ნიგოითის სადგურზედ ორიოდე დუქანია, რომლებშიაც ვაჭრობა გაჩაღებული ავად თუ კარგად. სამის წლის წინად აქ მოვაჭრეებმა წესად დაადგინეს, რომ ვინც სადგურიდგან რამე ცალს გამოიტანდა ან გაგზავნიდა, ყველას 3 3 კაპეიკს ახდევინებდნენ და ამ გვარად კაი ძალი ფულიც შედგა. ამასთან გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ფარნები, გზები, ხიდები და სხვა საჭირო საქმე აქვე ამ ფულით უნდა გაეკეთებინათ, რასაც კიდეც მორჩებოდა, მაგრამ ყველამ თქვენი ჭირი წაიღო და ის 300 მანეთი ჯერაც არ წარმოუდგენია ბესარიონ ჯიშკარიანს და ლუკა ბარამიძეს, რომლებსაც ეს აღებული ფულები ებარათ. ვინც მოიკითხა ერთიმეორესთან აგზავნიან მკითხველს. დრო გადის და ფულები კი არსადა სჩანს...

არს. ნიგოითელი

—

**ქ. გორი.** გორის დახურულ ბაზარში ერთი საზიზღარი ჩვეულებაა გავრცელებული და ყველა აქ გამვლელ-გამომვლელი ისე შეჩვევია ამ ამბავს, რომ სრულიად აღარც-კი ეხამუშებათ. აქ მოვაჭრეთ, უმეტესად მეხილეებს, ჩამოჰყავთ სოფლის პატარა ბიჭები და «დუქანში იბარებენ, რომ კაცათ გამოიყვანონ». ჯერ სულ სახლებში ჰყავთ და იმსახურებენ, ეს არაფერი თუნდა, და როცა შინ „ქალბატონს“ საქმე არა აქვს, ამოდის დუქანში „ალასთან“. ეს ალაც ეუბნება თავის ბიჭს: „წადი გიოს დაჰკარი, ის როგორ უნდა მოგერიოს, ი ცინგლიანიო“!.. თან გიოს ალას თვალს უშვრება, შენ შენი გიო ააძრახეო, ახლა გიოს ალა ეუბნება: „ისა, ისა, ი შენი ბარკლის ტოლა არ არის, შაქრუა, შენ უნდა მოგერიოს, ხო ლუკმაც აღარ გაჭამე, თუ ის დაგკრავს“. ამ გვარად ერთმანეთზე ამრეზილი ბავშვები გადიან შუა ადგილას და დაუშენენ ერთმანეთს, სცემენ, სტყეპენ, და ქოჩორს აგლეჯენ. ეს

---

ტონმა ყველაზედ უკედ იცის, რომ აქ სიტყვა „პენსია“ ყოვლად უადგილოდ არის ნათქვამი. პენსია უკვდავია და ჩემი შემოსავალი-კი, ერთი უკუღმართი მიმართულების გაძლიერების მეოხებით, ბეწვზედ ჰკიდია. გარდა ამისა პენსიას მხოლოდ მიღება უნდა, სხვა არაფერი. ჩემი წიგნები-კი ახლაც ბევრს შრომას ითხოვენ ჩემგანა. გამომცემლობა ჩემს ხელშია და მე ვალდებული ვარ მზა-მზარეული წიგნები ჩავაბარო საზოგადოების გამგეობას. ხან ნახევარ ზაფხულს ამის გამო თბილისში ვატარებ, რაც ჩემი სუსტი სიმრთელისათვის ძლიერ მავნებელია. გარდა ამისა ჩემს წიგნებს ბევრი მტერი ჰყავთ, შინაური და გარეული, აშკარა და იდუმალი, მკიცხავი და მაბეზღარი. მათი დაცვა ბევრს დროსა და შრომას ითხოვს. რაც ჩემს წიგნების შედგენაზედ ჯაფა მამსვლია, ორი იმოდენა შრომა მონდომია სხვა-და-სხვა გასამართლებელს მოხსენებებ'ა (докладныя записки), რომლითაც სავსეა სამი სტოლის უჯრა. მართალია მე იმდენს ვიღებ, რომ თვითონაც კარგად ვცხოვრობ, უნაკლებულოდ, დამოუკიდებლად, და ჩემის ოთხის ძმის ქვრივ-ობლებს ყოველ წელს ვეწევი ორმოციოდე თუმნითა, მაგრამ განა ეს მე მესაყვედურება?.. სასაყვედურო მაშინ იქნებოდა, ძვირად რომ ვყიდდე წიგნებსა. პირ-იქით იგინი ძლიერ იაფად იყიდებიან. თუ გინდათ სიმართლე გაიგოთ აიღეთ „დედა-ენა“, „Родное Слово“ და სომხური დედა-ენა ტერ-გევონდიანცისა და შეადარეთ ერთმანეთთან გვერდების რაოდენობით და სივრცით, სურათების სიმრავლით, დედნის კურსის სისრულით და თქვენივე თვალით დაინახავთ, რომ ჩემი სახელმძღვანელო თითქმის სამჯერ დიდია ხსენებულს რუსულს და სომხურს წიგნებზედ, ფასი-კი ერთი აქვთ, ანუ უკედ სომხური დედაენა მეტად ძვირს ერთი შაურითა, ესევე უნდა ითქვას „ბუნებისკარზედაცა“. იგი იპყრობს ხუთას გვერდზედ მეტსა, მრავალს სურათებსა და ქარტასა და ღირს თხუთმეტი შაური. სხვა ენებზედ-კი ამდენა წიგნები ისყიდებიან არა ნაკლებ მანეთ-ნახევრისა. სამის წლის წინედ პეტერბურგიდგან ჩამოვიდა თბილისში ერთი განათლებული წიგნების გამომცემელი პანტელეევი, გადაათვალიერა ჩემი წიგნები, გაიგო მათი ფასი და მაშინდელს მდივანს ბ-ნს მანსვეტოვს თურმე უთხრა: მე სწორედ გაოცებული ვარ, როგორ ახერხებთ ასე იაფად ჰყიდით ამოდენა წიგნებს. პეტერბურგში ერთი ორადაც ძლივს მოვახერხებდით მაგათს გაყიდვასაო. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ უშინსკი თავის სიცოცხლეში „Родное Слово“-ს ჰყიდდა შვიდ შაურად, თუმცა დიდი მამულის პატრონი იყო და დირექტორის პენსიაც ჰქონდა, მაშინ როდესაც ჩემი მდგომარეობა სრულიად სხვა არის. ერთი მტკაველი მიწაც არ მაბადია და სრულს ბოგანას მდგომარეობაში გახლავარ, ბევრიც რომ მოინდომონ ლიახვმა და რიონმა, ვერაფერს მომპარავენ. პენსია ხომ აღკრძალული ხილია ჩემისთანასათვის. რუსეთში კრიტიკაც არავის დაუძრავს უშინსკის წინააღმდეგ ამ მხრივ, მე კი ბატონი წერეთელი ლუკმას მაყვედრის, თითქო იგი ალალზედ ალალი არ იყოს. ღმერთია!

ამისთანავე სამართლით მიაყენა ჩრდილი ბატონმა გიორგიმ ერთს მასწავლებელს სახალხო სკოლისას. ეს მასწავლებელი გახლავთ ბ-ნი ბოცვაძე. იგი იქმნა განწესებული კავკავის სკოლაში მასწავლებლად ბ-ნი გ. იოსელიანის რეკომენდაციით. მე სრულიად არა ვრეულვარ ამ საქმეში, რადგანაც პირადად არ ვიცნობდი ამ მასწავლებელსა. ჩინებული მოღვაწე გამოდგა, სკოლა მშვენიერ ფეხზედ დააყენა, კავკავის ქართველების გული მოინადირა, კარგი სახალხო ბიბლიოთეკა დააარსა და ქართულის ენის გავრცელებას იმ შორეულს ქალაქში ფეხი ააჩქარებინა. წარსულის წლის დამლევს მან „Новое Обозрѣніе“-ში დაბეჭდა ლევიცკის წიგნის „Курсъ Русскаго языка“ გარჩევა და ბოლოში ორიოდე ფრაზით გამოსთქვა ის აზრი, რომ ამ წიგნს Русское Слово ბევრით სჯობიანო, მე ეს გამოცდილებით ვიციო, და მასწავლებლებს ურჩია პირველი წიგნის მაგივრად მეორე იხმარეთო. არც ერთი სხვა სახალხო მასწავლებელი, რომელიც საზოგადოების სკოლებში მსახურობს, კენტი სიტყვითაც არ შეხებია ჩემს წიგნებსა. წარსულს ივნისს კავკავიდგან ჩამოვიდა ბ-ნი ტიტე კახიძე, ჩვენი იქაური სკოლის მზრუნ-

ამოდენა ბაზარი კი ერთ მუცლად და ერთი პირად ხითხითობს და ხამუშ-ხამუშ გამოისმის წამქეზებელი ხმა ამ ველურ გართობათა სიამოვნებით მაცქერალთაგან:

— ჯან, ბიჭო, აგრე დაჰკა, ჯაან, ჯან, ეშმეტაშვილო!.. აი ბაშხადურ!..

სწორედ გლადიატორთა ბრძოლაა, ცოტა სხვა ელფერით. ეს არის, რომ იქ სიკვდილით ხშირად თავდებოდა ეს ადამიანის დამამცირებელი გართობა და აქ-კი ერთ-ერთ ბალღს, ან ორივეს უნდა წასკდეთ ორტოტად სისხლის მდინარე და ერთი ზევით წავიდეს ღრიალით და ერთი ქვევით.

— ჩემი ლომი მოერია, იძახის შაქროს ალა.

— ჩემმა ლომმა აჯობა, იძახის გიოს ალა.

ერთი არა ნაკლებ საკვირველი ამბავი კიდევ. როცა მატარებლით ხალხი მოდის გორის რკინის გზის სადგურზედ უნდა იღლიაში ამოიდოს თავისი ბარგი-ბარხანა და ფეხით გაუდგეს შიგ გორში ხიდის იმ ყურამდის, საითაც ქალაქია, რადგან მარტო იქ არის გაჩერებული ეტლები. მიზეზი რა გახლავთ: ხიდზედ გავლისას ექვს შაურს ართმევენ, ამიტომ მეეტლეები იძულებულები არიან ხიდზედ აღარ გავიდნენ. ამ გვარად დღეში ერთ ნახევარი ფაიტონი თუ გაივლის ამ ხიდზედ. თქმა არ უნდა, ხიდის ფული რომ ნაკლები ყოფილიყო, ყველა ეტლით ივლიდა და შემოსავალი ბევრი ექნებოდათ!.. ნუ თუ ამას ვერავინა ხედავს. ამ სამის წლის წინად ერთი რუსულ-ქართული არტისტთა დასი გვეწვია გორში და სცენიდგან ბიაზმა უთხრა არტისტს ქალს, რომელიც მის ცოლის როლს ასრულებდა: „ჩემო მეგობარო, იცი აქაური სომხები როგორ იქცევიან: მიდიან ეტლით ხიდამდე, გადმოვლენ ჩუმად, გაატარებენ ხიდზედ ეტლს (ცარიელს ხარჯი არ ერთმევა), ხიდს იქით ისევა სხდებიან და რკინის გზის სადგურამდის მიდიან და ერთ აბაზს იხდიან, და ჩვენ-კი აბაზი ეტლისა, ექვსი შაური ხიდისა და ნახე ამ ქესატობაში რა ფულს გვართმევენ, იმასაც აქ გვიტოვებინებენ, რაც ქალაქიდან მოგვყვაო. ამ ამბავზე გორელებს წასკდათ სიცილი და კინაღამ ფერდები დაასკდათ: „ეგ ბიჭები ვართო, თან გულში ამბობდენ, ხერხი სჯობიან ღონესაო“. მაგრამ შენ გასაჯე მკითხველო, ხერხია, ეს თუ დიდი უხერხულობა!..

ერთი ამბავიც: თუ სადმე სხვა ქალაქებში ქვაფენილებია, აქ „ქვაფანტულეებია“. ტფილისში დაჩვეულს თვალს და ფეხს არა ერთხელ მოაგონდება დედა-ქალაქის ამ მხრივ ჯეროვანი მოწყობა, აქ ქვები გაყრილ-გაფანტულია ქუჩებზედ, ფოსტის წინაც-კი თითქო დიდ-ლიახვს უდენია და ღორღი მიუზიდიაო. ქვის დაფენა თუ არა, მოკრეფა და ერთ ალაგს გადაუტანელობა რაღა ცოდვის კითხვაა და ღვთის წყრომა. მე შემთხვევა მქონდა დიდ ქუჩიდგან სემინარიამდინ გავლისა ეტლით და, დამერწმუნეთ, სე მაბუ( ნავა გზაში ეტლმა, რომ ვფიქრობდი, ან ახლა ავარდები ვარსკვლავებში, ან ახლა-მეთქი. თითო ისეთ უშველებელ ქვაზედ შეხტებოდა და შევვაქნევდა მედა ჩემს მეეტლე „ზურგელას ბიჭს“, რომ ვიძახდი, ნეტაი დედაჩემს არა ვყოლოდი და ეს გაჭირება არა მწვეოდა... არ ვიცი, იქნება ეს „ყველივრის საქნელა“ სასარგებლო და სასიამოვნო იყო გორელებისთვის, მაგრამ თქვე უსამართლონო, სხვანიც შეიბრალეთ!.. ყველას ხომ თქვენი გულ-მუცელი არა აქვს.

28-ს მარიამობისთვეს გორის ოთხკლასიანი სამოქალაქო სასწავლებლის დარბაზში იყო კრება გორის მაზრის სოფლის მასწავლებლებისა, რომელიც მოიწოდა ინსპექტორმა ბოგდანოვმა იმ აზრის გამოსარკვევად: თუ რა ესაჭიროება სკოლებს, რომ უკეთესს წარმატების გზას დაადგეს... კრებას გორის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლები და ინსპექტორი დაესწრო, აგრეთვე საოსტატო სემინარიის დირექტორი, ბ-ნი სტრელეცკი და მასწავლებელი ნ. ლომაური. აგრეთვე გორის მაზრის უფროსი და რამდენიმე გარეშენიც. სოფლის მასწავლებელნი ოც-და-ხუთამდის იყვნენ ქალ-კაციანად. კრება შვიდს საათზედ დაიწყო და 12 საათამდის გასტანა, მრავალი გულმხურვალე სიტყვა წარმოითქვა სოფლის მასწავლებელთა მიმართ დამსწრეთაგან და ბევრი საჭიროება გამოირკვა. დიდად ისიამოვნეს და დიდად მხიარულნი წავიდნენ, რა კი გაუზიარეს ერთმანეთს თავის გულისტკივილი. სწორედ მადლობის ღირსია ბ-ნი ბოგდანოვი ასეთის განკარგულებისათვის.

მზე-ჭაბუკი

**თელავი.** 1892 წელს თ. ნიკოლოოზ ზაალის ძემ ჩოლაყაშვილმა, როდესაც იგი მაზრის უფროსად იყო თელავში გასცა ბრძანება, რომ ყოველ სოფლიდგან როგორც თავადაზნაურებს, ისე გლეხებს უნდა გაეტანათ კალოები სოფლის გარეთ და გაეწმინდათ სოფლები.

მაზრის უფროსის ბძანება ასრულდა, თუმცა რამდენიმე პროტოკოლების შედგენა დასჭირდა იმათ ვისაც ვადაზე არ გაეტანათ. ეს განკარგულება გამოიწვია ხოლერამ, რომელიც 92 წელს იყო საერთოთ ყოველგან, გარდა თელავისა.

სასიამოვნო სანახავი იყო მთელი თელავის მაზრის სოფლები, რომელიც სავსეა ბაღებით და ამ მშვენიერ ბაღებში შიგა და შიგ გამოიყურებიან გლეხ-კაცის სახლები კრამიტ დახურულნი. შემდეგ მრავალის გლეხკაცისაგან გავიგონეთ: თუმცა პირველში გვიძნელდებოდაო, მაგრამ ეხლაკი მადლობელი ვართო, რადგანაც ქათამი, ბატი აღარ გვაწუხებენ კალოობის დროსაო.

წელს ახალმა მაზრის უფროსმა არ ათხოვა წინანდელ განკარგულებას ყური, ზოგმა ნამეტნავათ თავად-აზნაურთ ისევ სოფელში გაიმართეს კალოები. ამის გამო ამ გოლვიან წელიწადში რაკი პატარა ნიავი ადგებოდა ბზიანი მტვერი მოქონდა, რომ მთელ სოფელზე კორიანტელი იდგა და მშვენიერი ჰაერის მაგიერ ყლაპავდნენ ამ უცნაურს მტვერს. კარგი იქნება, რომ წინანდელი წესი კალოების შესახებ ახალმა მაზრის უფროსმა არ დაარღვიოს მით უფრო რომ გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ წინანდელი წესი თვალსაჩინოდ უპირატესი იყო.

თავადი დიმიტრი მაყაშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „გრაჟდანინი“ სწერს;

„ეჭვი არ არის, რომ კავკასიის სამკურნალო წყლებს ჩვენ ისე ვერ მოვაწყობთ, რომ რუსმა ავადმყოფმა სთქვას, ჩვენი წყლები უცხოეთ წყლებზედ ურიგოდ არ არის მოწყობილიო; თუმცა კავკასიის წყლები თავის თვისებით უკეთესები არიან უცხოელებზედ.

ზოგნი ამტკიცებენ, უფრო კარგი და სასარგებლოც იქმნება, რომ კავკასიის წყლები იჯარით მივსცეთ რომელსამე უცხოელს ამხანაგობასაო. სრული იმედია, რომ სულ ცოტა ხანში უცხოელი ამხანაგობა ისე მოაწყობს ამ წყლებს, რომ იგინი უცხოეთის წყლებს არ ჩამოუვარდებიან და წამლობაც უფრო იაფი იქმნება, — ვიდრე ეხლა არის.

ამაზედ ზოგიერთი ვითომ და პატრიოტები ამბობენ, რა საჭიროა, ყველა ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, უცხოელებს მივსცეთ იჯარითაო?

სწორედ მოგახსენოთ, აქ პატრიოტობა არაფერი მოსატანია, იმიტომ რომ ამ გვარ პატრიოტობით რუსეთს თუ არას დავაკლებთ, ვერაფერს მოუმატებთ. ჩვენი წყლები ისე მოუწყობელი და მძიმე დარჩება და ეს-კი რა თქმა უნდა საზარალოა ჩვენთვის. გარდა იმისა, ჩვენი შეძლებული და ფულიანი კაცები ყოველ წელს საზღვარ გარედ მიდიან, თან დიდ-ძალი ფული მიაქვთ და იქა ჰხარჯავენ; რუსეთში რომ სამკურნალო წყლები რიგიანად იყოს მოწყობილი, ყველა ეს ფული აქვე დატრიალდებოდა. ამიტომ, მე რომ მკითხოთ, ჩვენს წყლებს უეჭველად უცხოელი მივცემდი იჯარით და გარწმუნებთ, რომ ეს დიდად სასარგებლო იქმნებოდა ჩვენის სახელმწიფოსთვისაც და ჩვენ ავადმყოფთა თვისაცა.

## უცხოეთი

**ავსტრიის პოლონია.** ლვოვის ერთი პოლონიური გაზეთი „Prrea lad“ აღნიშნავს რა, რამდენად ძნელია ისეთ სახელმწიფოს მმართვა, როგორიც არის ავსტრია, სხვათა შორის სწერს:

მაგრამ უფრო მეტად ძნელი იყო მორჩენა პოლონიელთა წყლულისა და დაამება გულის სიმწარისა და სასოწარკვეთილებისა; იმპერატორმა ფრანცმა-იოსებმა ესეც კი შესძლო, მოგვანიჭა ჩვენ ძალ-ღონე და სახელმწიფო წეს-წყობილება. ჩვენ მეტად გვიყვარს იგი იმისთვისაც, რომ მან აღადგინა დამოუკიდებლობა.

კრაკოვის გაზეთ „Gras“-მა შემდეგის სიტყვებით მიჰმართა იმპერატორს: «უმოწყალესო იმპერატორო, შენ შენის დიდ სულოვნობით დაიპყარ და დაიმონავე გული პოლონელთა ერისა. შენის სამართლიანის სკიპტრას წყალობით ჩვენ თავისუფლად შეგვიძლიან ისევ პოლონელებად დავრჩეთ».

ქალაქ ლვოვში იმპერატორის ფრანც-იოსების მისვლის გამო ვენის გაზეთი «Tagblatt»-სწერს: „ჯერ არაოდეს პოლონეთლა საპოლიტიკო მოღვაწეთ ავსტრიაში ისეთი მნიშვნელობა არა ჰქონიათ, როგორც დღეს. არაოდეს ისე ნათლად და ისე ძლიერად არ გამოჩენილა მათი მნიშვნელობა და გავლენა სახელმწიფოში. იმპერატორის მობრძანება ამ შემთხვევაში ჰნიშნავს მისს დიდს მოწყალებას და მადლობას პოლონელთა ერისადმი. თავის მოფიქრებულის და გონიერის საქციელით პოლონელთა სახელმწიფო მოღვაწეთ მოიპოვეს გავლენა, მნიშვნელობა და თითქმის უპირატესობა მთელს ავსტრიაში. პარლამენტში პოლონელი დეპუტატები დიდს ძალას შეადგენენ და მათ ასე თუ ისე ყოველ საქმეებში პასუხი უნდა გასცეს ავსტრიის ყველა დასმა. პარლამენტის მემარცხენე დასმა პარლამენტში უმრავლესობა დაჰკარგა, რაკი ეს ჭეშმარიტება არ შეიწყნარა. ჩეხებს ყოველივე იმედი დაეკარგათ, როცა პოლონელებს გადუდგნენ. თუ აწინდელ კოალიციას არსებობა ჰსურს, იგი უნდა ეცადოს ძმური კავშირი იქონიოს გერმანელ მემარცხენე დასთან და პოლონელებთან.

გაზეთი „ფრემდენბლატტი“ კიდევ სწერს: „მორიგება და შეთანხმება სახელმწიფოსი პოლონელ ერთან ერთი იმ დიად სურვილთაგანია, რომლებითაც აღჭურვილი იყო იმპერატორი კონსტიტუციის დაწყების დრ.ის“.

—

**კორეს ომი.** იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა, კორეს ომის შესახებ ცნობები არ უნდა გამომჟღავნდესო. იოკოჰამიდგან, სწერენ ლონდონის გაზეთებში, რომ იქ ცენზურა მეტად სასტიკია, არც უცხოელ კორესპონდენტებს აძლევენ ნებას იმ ადგილებში დასწრებისას, სადაც ბრძოლაა ხოლმე; ამიტომ კორეს ომის შესახებ ნამდვილი ცნობები არავინ იცის. ჩინეთის მთავრობაც სცდილობს, ყოველივე ცნობანი ომის შესახებ საიდუმლოთი იქმნას მოცული. მიუხედავად ამისა, ყველამ კარგათ იცის, რომ ჩრდილოეთ კორეში ჩინეთის ჯარი მეტად დიდს გასაჭირშია, აფიცრები არ ვარგანან თურმე. გამუდმებულმა წვიმებმა და წყალ-

ველი, დაგვარწმუნა, რომ ბ-ნს ბოცვაძეს სვინიდისიერად, მარჯვედ და მხნედ მიჰყავს საქმე და თან ესეც დაუმატა: წრეულ დიდად დაზარალდა; მამა მოუკვდა და კიდეც გაცარცვესო; ამის გამო დიდს გაჭირებაში ჩავარდაო. მე შევიტანე გამგეობაში აზრი, რომ ხუთი თუმნის შემწეობა მივეცა ბ-ნ ბოცვაძისათვის და კიდეც მივეცით. გარდა ამისა ბ-ნი ბოცვაძე ხშირად ბეჭდავს გონიერს პედაგოგიურს სტატიებს «მწყემსში» და ამითი ეხმარება სახალხო და სამრევლო სკოლების დაყენებას რიგიანსა და ნაყოფიერს გზაზედ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ბ-ნი ბოცვაძე თავის სკოლაში უფასოდ ასწავლის ქართულს გალობასა და მშვენიერი ქართული ხორო და არსა, ამისთანა მასწავლებელი სანთლით არის საძებნელი, ქებისა და წაქეზების ღირსია და ბ-ნ გ. წერეთელი-კი ჩრდილს აყენებს მის მოქმედებასა. სირცხვილი არ არის? მეტი უკუღმართობა იქმნება?.

არა, ბატონო გიორგი, ხელი აიღე ინსინუციებზედ, თორემ სხვისი დამდაბლების მაგიერ, რომელიც ისე გწყურიან, საკუთარს თავს ირცხვენ, იმდაბლებდა ყირწაყურწით მიისწაფებით ქვევით-ქვევით. შეიბრალეთ თქვენი თავი.

იაკობ სიმონიძე

P. S. თეთრი რომ შავთან დააბა, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ეს ანდაზა, ჩემ და თქვენდა, სამწუხაროთ, მთლად აცხადდა ჩვენს გრამატიკოსს დოდაშვილზედ. ვიდრე იგი «კვალის» რედაქციაში მოექცეოდა, იკვლევდა ობექტიურად, შეძლებისა დაგვარად, ქართულის ენის ფორმებსა. მართალია, ეს კვლევა იყო მოცული სხოლასტური ბურუსით, ჯანყით და სიბნელით; მაგრამ პირადს მიკერძვას მიდგომით ლაპარაკს ვერავინ დაა, .მებდა. ახლა-კი სულ სხვა ხასიათზედ დადგა. აზრების გადასხვაფერება, დაბრალება იმისთანა სისულელისა, რომელიც სიზმრათაც არ მოგჩვენებია, აშკარა კარეკტურულის შეცდომის (სეირი უცქიროს, აკაკი უცქიროს, დოდაშვილი უცქიროს) ჩარიცხვა თქვენს შეცდომად, უარყოფა ყველსათვის ცხადის მოვლენისა, ხელების დაფარება თქვენის მოწინააღმდეგის აშკარა შეცდომეებზედ, მისი მრუდე სიტყვების სწორე სახით მოყვანა — აი ხერხები, რომლითაც სავსეა მისი „საგრამატიკო კვლევა“, რომელსაც ეს სახელი სრულიად არ შეჰფერის, რადგანაც იგი მოგვაგონებს დაბალი ხარისხის ადვოკატის გაჭიანურებულს რჩნსა, სხვა-და-სხვა ხრიკებით შემკობილსა და აჭრელებულსა. ჩვენ მაინც სამაგიეროს არ გადაუხდით ბ-ნს დოდაშვილსა. ჯერ იმიტომ, რომ იგი ყმაწვილია და არა მესამოცე წლებში ჩ.მდგარი უკუღმართობა და მეორედ იმის გამო, რომ იგი გაბრიყვებულია დიდებისაგან, რომელნიც, როგორცა სჩანს, პირდაპირ მონაწილეობას იღებენ მისს „კვლევაში». ჩვენ რბილად, თავაზიანად ვამხილოთ ჩვენს გრეჩს მის შეცდომათა და ჯეროვანს შუქს მივაყენებთ ყველა მისს სამართლიანს მოსაზრებასა. როცა გამოვანიავებთ მის ბზის გროვასა და გამოვარჩევთ მარცვლებსა, ამ სახით მოვიქცევით ბაასის დასამთავრებლად: დავსწეროთ პატარა მოთხრობას, რომელშიაც მოვაქცევთ ყველა იმ ფორმებსა, რომლითაც ჩვენი კილო განსხვავდება „კვალის“ კილოდგან. მივსცემთ რედაქციას წინადადებას თვითონ იმანაც დასწეროს ან ესევე მოთხრობა, ან სხვა თავისი ქებული კილოთი. ორივე მოთხრობას განიხილავს კამისია, ქართულის ენის ჩინებულ მცოდნეთაგან შემდგარი, რომელიც გადასწყვეტს საკითხსა: კანონიერი ქართულია ორივე მოთხრობის კილო, თუ არა? შემდეგ ეს ორივე მოთხრობა გაეგზავნება ინგლისში უორტროპსა და იმის დასა, რომელთაც, მრავალ ენათა შორის, ქართული ენაც ზედმიწევნით შეუსწავლიათ. იგინი განიხილავენ ამ საგანსა და შეგვატყობინებენ: ამ ორს კანონიერს ქართულს კილოში რომელი უფრო მაღლა სდგას, რომელი უფრო დაწინაურებულია და დაახლოებული უმაღლესის ხარისხის ენებთან. თუ «კვალის» კილო ამჯობინეს, მეც იმას მივიღებ და გარდა ამისა ოც თუმანს ჯარიმას გადავიხდი სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ხოლო თუ ჩემი კილო გამოვიდა გამარჯვებული, „კვალი“ ვალდებული იქნება მიიღოს იგი და ჯარიმაც იმოდენივე გადაიხადოს. თუ ეს გზა არ ამოვირჩიეთ, ბაასი ბოლო მოუღებელი და უნაყოფო დარჩება, რადგანაც თეთრი ქაღალდი ყველაფერს ითმენს და თავის დღეში არ გაწითლდება, რაც გინდა უსირცხო, უსამართლო და დაუსრულებელი პოლემიკა სჭიმო მასზედა. მგონია, კაი სიტყვაა.

ი. სიმონიძე

დღობამ გზები გააფუჭეს. მანჯურიაზე გასვლა შეუძლებია. ზარბაზნები, ტყვია-წამალი და ჯარის სურსათი სულ გზაში დარჩენილა. იაპონიის გემები ისე გულ-მოდგინედ უშენენ ზარბაზნებს კორეს ნაპირებს, რომ არც ერთს ჩინელების გემს არ შეუძლიან ჯარს სურსათი მიაწოდოს. იაპონიის ჯარი თანდათან გარს ერტყმის ჩინელების ჯარსა. ჯერ ისევ აქ ორის კვირის წინად ჩინეთის ფლოტს ბრძანება მიუვიდა, ყველა გემები პეჩილიის ყურეში შეიკრიბნენო, მაგრამ ეს ბრძანება ვერ იქმნა აღსრულებული. იაპონელთა მიკადო კიროზიმას მიდის, რათა თითონ ადევნოს თვალ-ყური, როგორ ჩასხამენ ჯარს გემებში. კიროზიმოს ქალაქში უმთავრესი შტაბი იქნება იაპონელთა ჯარისა.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

„ივერიის მე-182 №-ში დაბეჭდილ ფოთიდგან მოწერილ წერილში ბ-ნი „მამისეული“ ამბობს, რომ ამას წინად ორი ხელის მოწერა იყო გამართული: ერთი განსვენებულის პოეტის მამიას ფონდის დასაარსებლად და მეორე განსვენებულის მწერლის ინგოროყვას სახელობაზედ, არც ერთის ანგარიში არ გვინახავს გაზეთშიო“. მამიას ფონდის სასარგებლოდ ხელის მოწერის გამართვის შესახებ რა მოგახსენოთ, ხოლო რაიცა შეეხება ინგოროყვას სახელობაზედ ფულების მოგროვებას, ვალად ვრაცხ მკითხველ საზოგადოებას ვაუწყო შემდეგი: ინგოროყვას სახელობაზედ ხელის მოწერა გავმართე მე განსვენებულის მწერლის გარდაცვალების ამბის მიღების შემდეგ, სულ შეგროვდა ოც-და-სამი მანეთი (ორის საათის განმავლობაში.) რვა მანეთი დაიხარჯა გვირგვინში, დანარჩენი ხუთმეტი მანეთი გადავეცი ბ-ნს გიორგი წერეთელს დასაფლავების დღეს და იმინაც ეს ფული გადასცა სილიბისტრო ჯიბლაძეს, რათა მოეხმარებინათ საჭიროებისამებრ. ყოველივე ეს გამოცხადებულიც არის „კვალის“ მე-21—26 №№-ში

ამასთან დიდად სასიამოვნო იქნება ყველასთვის, რომ ის ბატონიც თავს იმართლებდეს საზოგადოების წინაშე, რომელმაც პოეტის მამიას სასარგებლოდ შეაგროვა ფული, მაგრამ არავინ იცის სად წავიდა ეს ფული. როდესაც განსვენებულ ბელეტრისტის ინგოროყვას სახელობაზედ ვაგროვებდი ფულს, ბევრმა წამომაყვედრა, რომ ჯერ დაგვანახეთ, რა მოხმარდა და ვის ხელშია პოეტის მამიას სახელობაზედ შეგროვილი ფულები და მერე სხვისთვისაც დიდის სიამოვნებით შევკრიბავთო. მართლაც და, როგორც ხმა დადის, ას მანეთზედ მეტი შეუგროვებიათ მამიას სახელობაზედ.

ვარდენ ყიფიანი

ფოთი

II

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც შემწეობა აღმოუჩინეს ცხინვალის სამკითხველოს და შემოსწირეს: ილია ნატროშვილმა 2 მან., ნიკ. ფავლენიშვილმა 2 მან., მღვდელმა სამსონ კენჭაძემ 2 მ., ვანო ბერძნიშვილმა 2 მ., ისო ტერსტეფანოვმა 2 მ..

ცხინვალის სამკითხველოს ზედამხედველი

ოვანიშვილი

პირველ შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთების 1 სექტემბრის ტირაჟში 500 მან. მოგება ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

1: 15996, 16758.
2: 3586, 4939.
3: 9612, 13250, 13945.
4: 7478, 9529, 15575, 19059, 19694.
5: 1987, 2847, 7921, 13680, 16929.
6: 742, 9868, 10078, 13315, 19972.
7: 8636, 10291, 12215.
8: 839, 14660.
9: 2701, 4979, 7082, 7948, 19286.
10: 5096, 5723, 9152, 14842, 15077.
11: 3471, 4506, 5178, 6183, 10734, 13796, 15660.
12: 6006.
13: 4971, 8447, 19982.
14: 5261, 8008, 8038, 19644, 19777.
15: 2974, 3294, 3462, 4238, 4980, 13971.
16: 340, 6488, 7896, 13347, 18094.
17: 1169, 3648.
18: 4131, 9675, 15056, 15468.
19: 20, 1890, 3218, 9784, 12821, 17292.
21: 1365, 13893.
22: 8870, 13509, 18048, 18933, 19166.
23: 719, 1408, 4365, 6459.
24: 4819, 912, 9746, 10443, 12197, 15002, 17858, 19940.
25: 1218, 4608, 8664, 11079, 12640, 15088, 16210, 16387, 17274.
26: 561, 47, 56, 12378.
27: 3806, 10371, 13228, 17744, 19890.
28: 2874, 6959, 8298, 9709, 12529, 12695, 15437, 17633.
29: 2949, 10384, 14141, 14586, 15220, 19783.
30: 1225, 9915, 14792, 18728, 19495.
31: 8244, 17106.
32: 6284, 11408, 13419, 14450, 18527.
33: 347, 664, 8505, 12260, 13701, 14898, 15259, 19369.
34: 3022, 3172, 3280, 6483, 6851, 7161, 11034, 11543, 12214, 14788, 16224, 18439, 18754.
35: 103, 6310, 9162, 11536, 11965, 13622, 17342.
36: 4596, 7367, 8890, 12557, 13029, 14868, 17716, 17922, 19323.
37: 1537, 13823, 14954.
38: 1890, 7208, 9296, 10275, 19701.
39: 2339, 9804, 16226, 16989.
40: 1643, 2776, 3071, 4641, 4970, 11696, 16045, 16541, 18284, 18783, 18800.
41: 8742, 10197, 16397, 18012.
42: 89, 2901, 10217, 12935, 14834, 18307, 18892.
43: 48, 4226, 5237, 7571, 9349, 11035, 11737, 13042, 1' 848, 19524.
44: 2457, 13585, 14076, 14499, 15278, 16921.
45: 6371, 9995, 1337, 15302, 17410, 18040.
46: 5369, 5534, 10621, 14093, 17444,
47: 1289, 16493,.
48: 421, 1813, 5653, 10348, 12859, 14564, 17138, 17445, 19185, 18801, 19783.
49: 195, 7932, 9399, 12513.
50: 1249, 6088, 8326, 9308, 12574, 16589, 19372.

ნომრები იმ ბილეთებისა, რომელსაც მოგება არ ერგო და გაბათილდა 2653, 1707, 17869, 11355, 1642, 2496, 3638, 12749, 6277, 19410, 7913, 5648, 5360, 1146, 15217, 17346, 14474, 12877, 11193, 17035, 548, 17490, 5658, 3311, 1806 12027, 3637, 2182, 5951, 3298, 19342, 18317, 12449, 6436, 530, 17275, 9435, 10437, 19660, 18010, 6143, 14051, 9249 7635, 3216, 9032, 1145, 17826, 7880, 4274, 11291, 7284, 8079, 6283, ,17536, 18930, 10616, 3095, 14327, 687, 16763, 6435, 2041, 16731, 4439, 14522, 12928, 13180, 745, 7006, 7239, 13984, 1764, 6644, 949, 2918. 5760, 9233, 2752, 18761, 10454, 2651, 6580, 17207, 12592, 11946, 12628, 11763, 3123, 9036, 12998, 7461, 12704, 16614, 4046, 17891, 10131, 11797. 11221, 6337, 10153, 1996, 17371.


# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: საქირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროცესევიჩი,—11½—12½, საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანცუზსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა: გამოვიდა და დაურიგდა მაღაზიებს გასასყიდად

ჩვენი ცხოვრების

## ყვავილი

გ. წერეთლის თხზულებანი

II ტომი

ფასი სამი აბაზი

(3—მ—3)

დაიბეჭდა და ისყიდება ზ. გრიქუროვის წიგნთ-საცავში

## საღმრთო ისტორია

ძველ და ახალ აღთქმისა სურათებით. შედგ. გ. იოსელიანის მიერ. სახელმძღვანელო შედგენილია სამრევლო და საერო სკოლებისთვის. დამატებაში მოქცეულია უმთავრესი მოთხრობანი ქარ. ეკკლესიის წმიდანებზე და რუსთა გაქრისტიანებაზე.

გამოცემა 2 ე. ფასი 50 კ. ვინც 30 ცალს იყიდის ერთად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა გრამატიკა არისტო ქუთათელაძისა. გამოცემა იმავე ზაქარია გრიქუროვისა. (3—მ—1)

დამზღვევი საზოგადოება

## „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა 2,500,000 მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—43)




ვერცხლისა ოქროსი

ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბოროდოსეფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დავის ფერად აჭარის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარს ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გავგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1379—52

ალალო თუთაევი


Дозволено цезнурою Тифлисъ, 9-го Сентярбя 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.